საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/28

ქ.თბილისი

„26" ნოემბერი 2015 წ.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული–სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების, ექსპერტიზის, ვიზირებისა და გაფორმების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებაში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე–5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული–სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების, ექსპერტიზის, ვიზირებისა და გაფორმების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") თავმჯდომარის 2015 წლის 15 ოქტომბრის ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული–სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების, ექსპერტიზის, ვიზირებისა და გაფორმების დროებითი წესის" მე–4 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ბ[1]) ქვეპუნქტი:
„ბ[1]) კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შესატანი საკითხის დასახელება;"
2. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული–სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების, ექსპერტიზის, ვიზირებისა და გაფორმების დროებითი წესში" შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
ა) მე–6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ: მიმდინარეობს ავტორიზებულ/ლიცენზირებულ პირებს შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის დავის განხილვისა და გადაწყვეტის ადმინისტრაციული წარმოება; კომისიის გადაწყვეტილებით იცვლება ზეპირი მოსმენის თარიღი ან განისაზღვრება საკითხის განხილვის ახალი ვადა; კომისიის საკონკურსო მოსამზადებელ სხდომაზე საკონკურსო განაცხადების გახსნის დროს, განაცხადს დაუდგინდა ხარვეზი; კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგში საკითხი განსახილველად შეიტანება დამატებით ან/და

კომისიის სხდომა იმართება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მისი დღის წესრიგის პროექტის 3 სამუშაო დღით ადრე გამოქვეყნების გარეშე.

ამ შემთხვევა(ებ)ში შემსრულებელი სტრუქტურული ერთეული კომისიის სხდომაზე (და თუ ეს შესაძლებელია, კომისიის სხდომის გამართვამდე) წარმოადგენს წერილობით დასკვნას (თუ ეს შესაძლებელი არ არის – ზეპირ დასკვნას, კომისიის სხდომის ოქმში ასახვით);"

ბ)მე–8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კენჭნაყარი გადაწყვეტილების დედანი ექვემდებარება ვიზირებას, სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე მხოლოდ ხელმოწერის გზით. ვიზირება ადასტურებს მხოლოდ კომისიის მიერ სხდომაზე ზეპირი ფორმით მიღებული გადაწყვეტილებისა და ამავე გადაწყვეტილების წერილობითი ფორმის შესაბამისობას".

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე